შენიშვნა: უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ადვოკატის საჩივარი და მას პასუხისმგებლობის სახით განესაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (საქმე Nდს-შ/3-15)

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გიორგი ტურაზაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ნათია კორკოტაძე - კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – თ.ს. სასამართლო

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17.12.2013

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 158/13

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ შ. ხ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ შ. ხ.-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **მომართვის (საჩივრის) ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 17 დეკემბერს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიაში მომართვა წარადგინა თ. ს. სასამართლომ და მოითხოვა ადვოკატ შ. ხ.-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მომართვის ავტორის განცხადებით, 2013 წლის 16 ოქტომბერს თ. ს. სასამართლოში გამართულ სხდომაზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისა და გადაწყვეტილების შესახებ სასამართლოს განმარტებისას მოსარჩელის ადვოკატმა შ. ხ.-მ განახორციელა არაეთიკური ქმედებები, რაც მის მიერ სხდომაზე დამსწრე სხვა პირებთან ერთად სასამართლოს შემადგენლობისადმი აშკარად შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით სხდომის მიმდინარეობის დარღვევაში, წესრიგის დაცვის თაობაზე სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობასა და დარბაზის დემონსტრაციულად დატოვებაში გამოიხატა.

1.3 მომართვაში განმარტებულია, რომ საქმის განხილვის პროცესში და შემდეგაც ადვოკატის მიერ მასმედიის საშუალებების გამოყენებით პერიოდულად კეთდებოდა არაეთიკური და უსაფუძვლო ბრალდებების შესახებ განცხადებები საქმის განმხილველი მოსამართლეების მისამართით. აღნიშნული კი კონკრეტული დავის შესახებ მცდარი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მიზანმიმართულ მცდელობას წარმოადგენს და სასამართლოს მიმართ უხეშ და აშკარა უპატივცემულობად უნდა შეფასდეს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2013 წლის 24 იანვრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა შ. ხ.-მ განაცხადა, რომ მას შემდეგ რაც საქმე განსახილველად გადაეცა თ. ს. სასამართლოს მოსამართლეების ვ. წ.-ის, ხ. ა.-ის და ა. ი.-ის შემადგენლობით, მან წერილობით მიმართა თ. ს. სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს ლ. კ.-ს, ს. სასამართლოს თავმჯდომარეს, თავად მოსამართლეებს და განუმარტა მათ, რომ მოსამართლეები ამ კატეგორიის საქმეებში არ იყვნენ გამოცდილები და შესაბამისი მომზადება არ ჰქონდათ გავლილი. ამასთან, საქართველოში მსგავსი კატეგორიის სარჩელი არ განხილულა, ეს საქმე შექმნიდა პრეცედენტს სამომავლოდ მსგავსი საქმეებისთვის, ამიტომ ამ სარჩელის განხილვა მნიშვნელოვანი იყო და თუკი აღნიშნული მოსამართლეები განიხილავდნენ ამ საქმეს, ადვოკატი ითხოვდა, რომ ისინი კარგად მომზადებულიყვნენ.

2.2 ადვოკატის განმარტებით, სასამართლოში საქმეთა განაწილების რიგითობის პრინციპი არ იყო დაცული და საქმე აღნიშნულ კოლეგიას არ უნდა განეხილა.

2.3 ადვოკატის განცხადებით, 2014 წლის 16 ოქტომბერს სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებისას სასამართლო სხდომის დარბაზში წარმოიშვა კონფლიქტური სიტუაცია დამსწრეთა შორის, რის გამოც მან სცადა დამსწრეთა დამშვიდება და მოსამართლემ აღნიშნულის გამო დააჯარიმა იგი. ადვოკატის განმარტებით, მას დაჯარიმების შესახებ სასამართლო სხდომის დარბაზში არ გაუგია და არც შესაბამისი დოკუმენტი ჩაბარებია.

2.4 2014 წლის 28 იანვარს ადვოკატმა შ. ხ.-მ ეთიკის კომისიას წარუდგინა ახსნა–განმარტება და მიუთითა, რომ მისი მხრიდან მასმედიის საშუალებების გამოყენებით უსაფუძვლო და არაეთიკურ ბრალდებებს საქმის განმხილველი მოსამართლეების მისამართით და მცადრი საზოგადოებივი აზრის ჩამოყალიბების მცდელობას ადგილი არ ჰქონია. საქმის რეზონანსულობისა და მოსამართლეზე ზეწოლის მაღალი ალბათობოდან გამომდინარე მან მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით არაერთხელ მიმართა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოებს.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მოსამართლე ს. სასამართლოს თავმჯდომარის ახლო მეგობარი და მასთან დაახლოებული პირია და შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე სამართლიანი სასამართლოს უფლება და მისი ნდობის ხარისხი ეჭვქვეშ დადგა. სწორედ ამიტომ, მან თავისი პოზიცია გამოხატა ევროპული კონვენციით მინიჭებული გამოხატვის თავისუფლების გამოყენებით და კანონის მოთხოვნების დაცვით. ადვოკატის განცხადებით, მას არც სასამართლო განხილვამდე და არც შემდეგ არ გაუკეთებია ისეთი განცხადება, რომელიც შეიძლება არაეთიკურად ჩაითვალოს.

2.6 ადვოკატის განცხადებით, სასამართლო სხდომაზე გადაწყვეტილების გამოცხადებისას დარბაზში მყოფმა ორმა უცნობმა პირმა პოლიტიკური განცხადებები გააკეთა და ამის გამო მოსამართლის მიერ მათმა დაჯარიმებამ სხდომის დარბაზში კონფლიქტური სიტუაცია წარმოშვა. ადვოკატის განმარტებით, სხდომაზე დამსწრე პირები უცენზურო სიტყვებით იხსენიებდნენ მასსა და მის მარწმუნებელს, აგრეთვე სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ადვოკატის მეუღლეს, თუმცა აღნიშნული ფაქტები მოსამართლემ რეაგირების გარეშე დატოვა. ამ არეულობაში მისთვის უცნობმა პიროვნებამ იგი კარისკენ მისწია და ხალხის ტალღამ გარეთ გამოიყვანა. ადვოკატის განცხადებით, მას მოსამართლისთვის შეურაცხყოფა არათუ არ მიუყენებია, არამედ ამაზე არც კი უფიქრია. წლების მანძილზე თავადაც მოსამართლე იყო და თვლის, რომ სასამართლო იურისტის პროფესიონალიზმის განსაზღვრის ადგილია.

2.7 ადვოკატის განმარტებით, პროვოკაცია, რომელიც მოწინააღმდეგე მხარემ მისი მისამართით განახორციელა, არ მოხდებოდა, სასამართლოს, რომ წესრიგის დაცვაზე ეზრუნა და ამ საკითხს ზერელედ და ტენდენციურად არ მოჰკიდებოდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ სასამართლომ იგი დააჯარიმა, თუმცა სხდომაზე დამსწრე პირები ადასტურებენ, რომ სხდომაზე დაჯარიმება არ მომხდარა და მეორე ადვოკატს ჩაჰბარდა არა სხდომის ოქმი, არამედ გადაწყვეტილება, რაც მოსამართლის მიერ მის პარტიზანულ დაჯარიმებას ნიშნავს.

2.8 ადვოკატის განმარტებით, მოსამართლე იყო ტენდენციური და ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თ. ს. სასამართლომ ეთიკის კომისიას მხოლოდ ორი თვის შემდეგ მიმართა. ადვოკატის განცხადებით, მოსამართლის ქმედების მიზანი უკანონოდ გამოტანილი გადაწყვეტილების გადაფარვა და ადვოკატის გაჩუმებაა, რათა არ გამჟღავნდეს ის უკანონო ქმედებები, რომლებსაც გადაწყვეტილების მიღების დროს ჰქონდა ადგილი.

2.9 2014 წლის 21 აგვისტოს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ სასამართლო პროცესამდე 3-4 საათით ადრე ცნობილი გახდა, რომ დ. კ. დააკავეს, რამაც უფრო დაძაბა ფონი. მოსამართლემ X-ზე გასული ამ ფილმიდან გამომდინარე გააკეთა ძალიან ცინიკური სვლა, გამაღიზიანებელი ტონით იკითხა X რატომ არ იყო მისული დარბაზში. ადვოკატის განცხადებით, მოსამართლემ მანდატურს უთხრა, რომ ტელეარხი X სავარაუდოდ ქვემოთ იქნებოდა და ამოეყვანა. ამ ფილმში მოსამართლეებიც იყვნენ მოხსენებული, აღწერილი იყო მათი ბიოგრაფია და საქმიანობა.

2.10 ადვოკატის განცხადებით, დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მის მიერ ჯარიმის გადახდა ადასტურებს იმას, რომ იცოდა და ეთანხმებოდა ჯარიმას. რეალურად, მან აღმასრულებლისგან გაიგო ჯარიმის შესახებ და იმიტომ გადაიხადა, რომ მისი ქონება არ დაეყადაღებინათ.

2.11 ადვოკატის განცხადებით, სასამართლო მოვლენების შემდეგ დ. კ.-ის ადვოკატმა შეიტანა სარჩელი მის წინააღმდეგ სასამართლოში. იქაც იგივე ტექსტი იყო მითითებული, თითქოს ის მოსამართლეებს ლანძღავდა. ადვოკატის განმარტებით, მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ მას იმიტომ კი არ უნდა წაეგო პროცესი პატივის და ღირსების შელახვის დავაზე, რომ დ. კ.-ს უწოდა კრიმინალი, არამედ მოსამართლემ პრობლემურად მიიჩნია, რომ ის ს.სასამართლოს თავმჯდომარეზე ამბობდა, რომ მოსამართლეების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე ახდენდა გავლენას. ადვოკატის განცხადებით, მათ შეიტანეს სარჩელი სასამართლოში, ეთიკის კომისიაში და მათი მიზანია, რომ გააჩერონ.

2.12 განხილვის სხდომაზე ადვოკატის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთიკის რეგლამენტი ვერასდროს შეზღუდავს პირის კონსტიტუციურ უფლებას. აზრის გამოხატვის თავისუფლება არის დემოკრატიის ყველაზე მაღალი სტანდარტი. თუ აზრის გამოხატვის თავისუფლება შეიბოჭება ეთიკის რეგლამეტით ე.ი. დაირღვევა კონსტიტუციური უფლება. ადვოკატი შ. ხ. ასევე არის საჯარო პირი და ეთიკის რეგლამენტი ვერ შეზღუდავს საჯარო პირის სტატუსს. ადვოკატმა შ. ხ.-მ მოსაზრება გამოხატა სხდომის დასრულების შემდეგ, როგორც პიროვნებამ. გადაწყვეტილების გამოცხადებას მოჰყვა ხმაური, შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ სხდომა დასრულებული იყო. თუ პირადი მოსაზრება ჩაითვლებოდა შეურაცხყოფად, მაშინ კონსტიტუციასთან მიმართებით შეიქმნებოდა პრობლემა.

2.13 2014 წლის 21 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ სასამართლო სხდომის დარბაზში დაჯარიმების შესახებ არ გაუგია, რადგან ამ დროისთვის ის აღარ იყო და არც გაუგზავნიათ მისთვის გადაწყვეტილება. ადვოკატის განმარტებით, მან კოლეგიის წევრებთან ერთად მოისმინა პირველად სხდომის ჩანაწერი, სადაც მოსამართლე ჯერ ამბობს 450 ლარს, შემდეგ 500 ლარს. მას წამერთვა აღნიშნული განჩინების გასაჩივრების უფლება, რადგან პირდაპირ აღმასრულებელი მიადგა სახლში და მანამდე გადაწყვეტილება არ ჩაბარებია.

2.14 ადვოკატის განმარტებით, კანონში წერია, რომ მოსამართლე გახსნილად და დახურულად აცხადებს სხდომას. მისი მოსამართლეობის პერიოდში დარბაზში ბუზი ვერ გაფრინდებოდა ვიდრე სხდომას დამთავრებულად არ გამოაცხადებდა. თუ დარბაზში ვინმე წამოხტებოდა, აჯარიმებდა.

2.15 ადვოკატის განცხადებით, მოსამართლემ რომ დაასრულა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება, მერე ატყდა აჟიოტაჟი დარბაზში. ამის შემდეგ გადავიდა მოსამართლე თავის მართლების რეჟიმში, რომ ეს გადაწყვეტილება არ იყო საბოლოო და შეიძლებოდა გასაჩივრება. ადვოკატის განცხადებით, ყველამ ჩათვალა, რომ პროცესი დასრულებული იყო. თუ მოსამართლეს არ ჰქონდა დასრულებული სხდომა, მას შეეძლო გამოეცხადებინა, რომ ჯერ არ იყო დასრულებული სხდომა. ამის შემდეგ ის ადგა და გავიდა დარბაზიდან, რადგან ჩათვალა, რომ სხდომა დასრულდა. მოსამართლე კვლავ განაგრძობდა განმარტებებს, თუმცა არავინ აღარ უსმენდა. მოსამართლეს შეეძლო გაეკეთებინა მითითება, რომ სხდომა გრძელდებოდა, თუმცა ეს არ გაუკეთებია.

2.16 ადვოკატის განცხადებით, მას ჰქონია შემთხვევა, რომ როცა ხალხი წამოშლილა გამოცხადების შემდეგ, მოსამართლეს უთქვამს, რომ ყველა უნდა დაბრუნებულიყო ადგილზე, რადგან მას სხდომა დახურულად არ გამოუცხადებია, მთელი დარბაზი შებრუნებულა უკან იმისთვის, რომ მოსამართლეს ეთქვა სიტყვები: ,,სხდომას დახურულად ვაცხადებ.“ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ მოსამართლემ ჩათვალა, რომ სხდომა არ იყო დასრულებული და მან უნებართვოდ დატოვა დარბაზი, შეეძლო მოეთხოვა პროცესზე მისი დაბრუნება და განემარტა, რომ აჯარიმებდა კონკრეტული თანხით.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2014 წლის 31 იანვარს მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატ შ. ხ.-ის მიმართ.

3.2 მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა შ. ხ.-მ ქალაქ თ. ს. სასამართლოში 2013 წლის 11 ოქტომბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისა და გადაწყვეტილების შესახებ სასამართლოს განმარტებისას განახორციელა არაეთიკური ქმედებები სასამართლოს შემადგენლობის მიმართ, დარღვეული იქნებოდა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ბ" და ,,გ" ქვეპუნქტები და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფატობრივი გარემოებები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 2013 წლის 16 ოქტომბერს თ. ს. სასამართლოში, სადაც მონაწილეობდა მხარის წარმომადგნელად ადვოკატი შ. ხ. (შემდგომში ადვოკატი) სხდომას თავმჯდომარეობდა მოსამართლე ვ. წ..

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
16.10.2013 წ. სასამართლო სხდომის ოქმი საქმეზე N2ბ/2996-13

4.1.2 მოსამართლე ვ. წ. სასამართლოს სახელით არის მომართვის ავტორი ადვოკატის სხდომის დარბაზში მოქმედებების გამო.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
09.12.2013 წ. თ. ს. სასამართლოს მომართვა

4.1.3 ეთიკის კომისიის წინაშე (საპროცესო კოლეგიაში) მომართვის ავტორის მხრიდან წარმოდგენილი იქნა 2013 წლის 16 ოქტომბრის სასამართლოს სხდომის ვიდეო და აუდიო არასრული ჩანაწერები.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
1. 2013 წლის 16 ოქტომბრის სასამართლოს სხდომის ვიდეო ჩანაწერი
2. 2013 წლის 16 ოქტომბრის სასამართლოს სხდომის აუდიო ჩანაწერი

4.2 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენელი სადავო ფაქტობრივი გარემოება:

4.2.1 ადვოკატი შ. ხ. 2013 წლის 16 ოქტომბერს თ. ს. სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მიმდინარე სასამართლო პროცესის დასრულებამდე დგება და მოსამართლეთა უნებართვოდ ტოვებს სხდომის დარბაზს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოქვეყნებისას სიტყვებით - "როგორ არ გრცხვენიათ", "თქვენი დროც მოვა". ამავე დროს ადვოკატი მარჯვენა ხელით, საჩვენებელი თითის ჟესტიკულაციით ახდენს ამ სიტყვათა დემონსტრირებას. ხელი სხდომის მოსამართლეთა კათედრისკენ არის მიმართული.

4.2.2 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ კომისიის წინაშე წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები სრულად არ ემთხვევა ეთიკის კომისიაში მომართვის ავტორის მიერ წარმოდგენილი სხდომის მიმდინარეობის აუდიო და ვიდეოფაილებს.

4.2.3 აუდიო-ვიდეო ჩანაწერი იძლევა საშუალებას სასამართლო პროცესზე ამოცნობილ იქნას ადვოკატ შ. ხ.-ის როგორც მოქმედება, ასევე რეპლიკა. როდესაც ადვოკატი დგება სასამართლო პროცესის დასრულებამდე და მოსამართლეთა უნებართვოდ ტოვებს სხდომის დარბაზს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოქვეყნებისას სიტყვებით - "როგორ არ გრცხვენიათ", "თქვენი დროც მოვა". ამავე დროს ვიდეო ჩანაწერის მიხედვით, ადვოკატი მარჯვენა ხელით, საჩვენებელი თითის ჟესტიკულაციით ახდენს ამ სიტყვათა დემონსტრირებას. ხელი სხდომის მოსამართლეთა კათედრისკენ არის მიმართული.

4.2.4 წარმოდგენილი და საქმეზე დართული ვიდეო და აუდიო ფაილები, მიუხედავად მათი არასრულყოფილებისა, საკმარისია ვერბალურ და ვიზუალურ ფორმატში ადვოკატის ქცევის გარკვევისა და დაფიქსირებისათვის.

4.2.5 ადვოკატი 4.5 პუნქტში არსებული ქცევით სასამართლო სხდომას ტოვებს დამსწრე პირებთან ერთად როდესაც სხდომის თავმჯდომარე აცხადებდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, რა დროსაც დამსწრე პირთაგან ხდება რეპლიკა, რაც იწვევს მოსამართლის მოქმედებას - დამსწრე პირთა დაჯარიმებას.

4.2.6 ამ სხდომაზე ადვოკატი დაჯარიმდა მოსამართლის (სხდომის თავმჯდომარე) ვ. წ.-ის მიერ სასამართლო უპატივცემულობისა და განკარგულების შეუსრულებლობის გამო.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 16.10.2013 წ. სასამართლო სხდომის ოქმი საქმეზე N2ბ/2996-13
2. 2013 წლის 16 ოქტომბრის სასამართლოს სხდომის ვიდეო ჩანაწერი
3. 2013 წლის 16 ოქტომბრის სასამართლოს სხდომის აუდიო ჩანაწერი

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ შ. ხ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1. განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ შ. ხ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

6.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტები: ადვოკატი ვალდებულია ,,ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები;“; ,,არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“

6.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი ,,ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.

6.2 ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლის პროფესიული ვალდებულებები სასამართლოს მიმართ, უნდა ეფუძნებოდეს მართლმსაჯულების ინტერესს, ადვოკატის პროფესიულ თავისუფლებას და ღირსებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე

ეთიკის წესების დაცვას. დაცვის უფლების განხორციელებისას, ადვოკატი შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებით. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

6.3 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N010/10 იმსჯელა ერთის მხრივ, ადვოკატის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ სასამართლო დარბაზში და მეორე მხრივ, სასამართლო ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების ინტერესების დაცვის თაობაზე. კომისიის განმარტებით ,,ადვოკატმა არ დაიცვა სასამართლო დარბაზში წესრიგი და არ დაემორჩილა მოსამართლის მითითებებს. ადვოკატის მსგავსი ქმედებები მაშინაც კი არ არის გამართლებული, როდესაც იგი ადვოკატისათვის მინიჭებული საპროცესო უფლების განხორციელებას ისახავს მიზნად. კანონით მინიჭებული საპროცესო უფლების განხორციელება არ წარმოადგენს ადვოკატის მიერ სასამართლო დარბაზში მოსამართლის მითითებისადმი დაუმორჩილებლობის გამართლების საფუძველს. ადვოკატის ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაემორჩილოს სასამართლოს გადაწყვეტილებას მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის თაობაზე და თუ გადაწყვეტილება უკანონოდ მიაჩნია, გამოიყენოს კანონით დადგენილი საპროცესო საშუალებები (გადაწყვეტილების გასაჩივრების, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაყენების და სხვა კანონიერი მექანიზმი.)

6.4 გადაწყვეტილების გამოტანისას, ეთიკის კომისია დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, კერძოდ, მოცემულ საქმეებზე მითებულ გადაწყვეტილებებს: Kyprianou v. Cyprus; Brandstetter v. Austria; Claudel v. Austria; X v. The United Kingdom; X v. Switzerland.

6.5 ადვოკატ შ. ხ.-ის სასამართლო პროცესზე მოქმედება, ასევე რეპლიკა, როდესაც იგი დგება სასამართლო პროცესის დასრულებამდე და მოსამართლეთა უნებართვოდ ტოვებს სხდომის დარბაზს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოქვეყნებისას სიტყვებით - "როგორ არ გრცხვენიათ", "თქვენი დროც მოვა" მუქარანარევგაფრთხილებად აღიქმება. ვიდეოჩანაწერში კი ცხადად, თვალნათლივჩანს, რომ ამ სიტყვებს ადვოკატი მუქარისთვის დამახასიათებელ ჟესტიკულაციას (თითისქნევას) ურთავს და დემონსტრატიულად გადის.

6.6 ადვოკატის მიერ თავის პოზიციაში გადმოცემული სასამართლო სხდომამდე არსებული მდგომარეობა, თუნდაც მისი გათვალისწინების თვალსაზრისით არ წარმოადგენს რაიმე სახის (მაგალითად, საპატიო) მიზეზს, რაც გამორიცხავდა ადვოკატის პროფესიულ უმართლობას. პროფესიული ქცევა რეგულირებულია როგორც სასამართლოში, ისე სასამართლოს გარე ურთიერთობებში და ხშირად არსებობს პროფესიული ქცევის წესების დარღვევის საფრთხე.

6.7 ზემოთნახსენებ დროს ადვოკატ შ. ხ.-ის სიტყვიერი და ფიზიკური მოქმედებები, რომლებიც მოცემულია წინამდებარე გადაწყვეტილების 6.1. პუნქტში ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველ ნაწილს, რომელიც იცავს სასამართლო წარმოებისას წესრიგს და განსაზღვრავს ადვოკატის პროფესიულ დამოკიდებულებას სასამართლოსადმი. აღნიშნულს ასევე არეგულირებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5 მუხლის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტები, რომელიც მოითხოვს ადვოკატის პატივისცემას სასამართლოში მოქმედი წესებისადმი, რაშიც იგულიხმება ასევე, რომ ადვოკატმა თავისი მოქმედებები და ემოცია უნდა გააკონტროლოს სხდომის დროს მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების გამოცხადების პროცესში, რომლის ხელშეშლას სხვა პირებთან ერთად არ უნდა შეუწყოს ხელი. ადვოკატმა არ უნდა დატოვოს სხდომის თავმჯდომარის ნებართვის

გარეშე სასამართლო დარბაზი, მაშინაც კი როდესაც გადაწყვეტილების გამოცხადება მიმდინარეობს. ადვოკატს შეუძლია არ დაესწროს მოცემულ სხდომას ანუ არ შევიდეს სასამართლოს სხდომის დარბაზში.

6.8 კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ შ. ხ.-ის მიერ დარღვეული იქნა 6. 3 პუნქტში მოცემული რეგულაციები და საახეზეა დისციპლინური გადაცდომა.

6.9 კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის დამოკიდებულებას პროფესიული ქცევებისადმი სასამართლოში და არ იზიარებს იმ მოსაზრებებს, რომ მოსამართლემ უნდა განაცხადოს სხდომის გაგრძელების შესახებ თუ მხარეები და დამსწრე პირები სხდომის დარბაზის დატოვებას საჭიროებენ. ადვოკატთან გასაუბრებებმა აჩვენა, რომ განსხვავებული მიდგომა აქვს საკითხისადმი, რისთვისაც პროფესიული ქცევის პრევენცია ვერ განხორციელდება დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების განხორციელებით.

6.10 კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს დისციპლინარული სახდელი, კერძოდ გაფრთხილება.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის ,,ბ" და„გ" ქვეპუნქტებით; 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებისმე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით,მე-19, მე-20 მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ შ. ხ.-ის მიმართ /სიითი№/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. ადვოკატ შ. ხ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (ქ. თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/